ხელშეკრულება N01-38/24

ქ. ბათუმი 16 თებერვალი **2016** წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ერთის მხრივ, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, უფროსი თემურ ყურშუბაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ჯითი მოტორს"– ის დირექტორი თემურ უსტიაშვილის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონელისა და მოსახურების მოწოდება დანართი 1-ის შესაბამისად, (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებისათვის (SUZUKI jimni სახ. N FPF-738, გამოშვების წელი 2012, SUZUKI jimni სახ. N BA 153 BA, გამოშვების წელი 2014) ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონელი/მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

- **CPV09211000** - 215.02 ლარი
- **CPV50112200** – 100 ლარი
- **CPV42913000** – 112.82 ლარი
- **CPV34322400** - 330.40 ლარი
- **CPV34300000**– 92.04 ლარი

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 850.28 (რვაას ორმოცდაათი ლარი და 28 თეთრი)ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ დანართი 1 –ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირ(ებ)ი (სააგენტოს წარმომადგენელი - თამაზ ვარშანიძე), რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებათა გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების

ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების მოქმედების და მოწოდების ვადა

8.1. საქონლის მოწოდების/მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი რჩება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	შპს „ჯი-თი მოტორსი“
მისამართი: ქ.ბათუმი, ვ.გორგასლის**N124**	მის: ქ. თბილისი ჩოლოყაშვილის **N48**
საბანკო რეკვიზიტები:	ს/კ **206276340**
საიდენტიფიკაციო კოდი – **245631428**	სს „საქართველოს ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი:**BAGAGE22**
ბანკის კოდი; TRESGE22	ანგ/ნომერი **GE89BG0000000247624300 GEL**
ანგარიშის N 740397499	ტელ: **25 95 000**
სააგენტოს უფროსი	
თემურ ყურშუბაძე	თემურ უსტიაშვილი

დანართი 1

2016 წლის 16 თებერვლის N01-38/24 ხელშეკრულებაზე

ფასების და მოწოდების ცხრილი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებისათვის

N	საქონელის დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
1	სტაბილიზატორის რეზინების შეცვლა	2	12	24
2	ზეთის და ფილტრის შეცვლა	2	20	40
3	ჰაერის ფილტრის შეცვლა	1	8	8
4	წინა ხუნდების შეცვლა	1	28	28
5	ჰაერის ფილტრი	1	55	55
6	ზეთის ფილტრი	2	28.91	57,82
7	რეზინი, წინა სტაბილიზ.	2	46,02	92,04
8	სამუხრუე ხუნდები	1	330,4	330,4
9	ზეთი	8,6 ლ	25	215,02
10	ს უ ლ			850,28 ლარი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს

უფროსი თემურ ყურშუბაძე

შპს „ჯი-თი მოტორს"-ის დირექტორი თემურ უსტიაშვილი